20.01.2020

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2019 წლის დეკემბერი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 2.4 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 8.6 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 8.7 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე ფასების 9.3 პროცენტიანი მატება ფიქსირდება. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 8.1 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის დეკემბერში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის დეკემბერთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**108.6**	**8.56**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**109.3**	**1.19**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**108.7**	**7.47**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	109.9	1.37
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	109.9	1.16
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**91.9**	**-0.10**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge